ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

ახალი ნაკადი

საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია.

ორშაბათი, 27 თებერვალი.

№ 3 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

„ახალი ნაკადი“-ზე

გაზეთი ამ თავითვე გამოვა კვირაში ორჯერ—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.

გაზეთის ფასი:

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

დაკვეთა შეიძლება წერილობრივ. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა დროებით მიიღება „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის“ კანტორაში ბ. ანტიოხ სტურუასთან (გოლოვინის პრ., 26) და მუშტაიდის ქ., № 15, მუშათა კლუბში ალექ. იოსელიანთან. აქვე შეიძლება რედაქციის მდივნის ნახვა.

ლრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო ივანეს ასული, დედა ეკატერინე, ღვიძ დოშნა, ძმები მიხეილ და ილია მეუღლეები ლრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გიორგი მამანტის ძე მიქაუტაძე

გამოსვენება დანიშნულია იანვრის 26 დილის 10 საათზე, ნიკოლოზის ქუჩა № 99 წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

კავკასიის რკინის გზის შენობათა და ლიანდაგის პირველ უბნის უფროსი.

ამით აცხადებს რომ უბნისთვის საჭიროა არიან გამოცდილი რკინის გზებზე ნამსახური გზის და გადასასვლელების დარაჯები და ორტელის უფროსები. დაწერილებითი პირობების გაგება შეიძლება უბნის უფროსის კანტორაში.

ყირის ქუჩა № 32 ყოველ დღე დილის 9—3 საათამდის.

დედა-ქალაქი იანვრის 27.

ამ ორ კვირის შემდეგ საქალაქო არჩევნებზე. უკვე ერთი კვირის შემდეგ დაიწყება ბრძოლა ამ ორ ბანაკი, რომელსაც საქართველოს თავისუფალი ცხოვრება არსებითად ვერ შეუთვისებია. ჩვენს დედაქალაქში მომქმედი ორი პარტია: რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერები და

[illegible]ნაკელები არჩევნებს ბოიკოტს [illegible]ცხადებენ. და აღსანიშნავია, რომ [illegible]ორივე პარტია ერთსა და იმავე მო[illegible]ზრებიდან გამოდის: არ სცნოს საქართველოს სუვერენობა და მთელის [illegible]ძლებით ხელი შეუშალონ ქართველ[illegible]ის თავისუფალ არსებობას. ორივე [illegible]პარტიას ვერ მოუნელებია საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცემული [illegible]ანონი მოქალაქეობის შესახებ და [illegible]ემუქრებიან, „აკტიური ბოიკო[illegible]ხადია, ამ ვაებატონებს ერთი რამ [illegible]ეხვებსთ, მათ უნდათ ერთის მხრით [illegible]ცხო სახელმწიფოს მოქალაქეებად [illegible]ტარჩენ, მაშასადამე საქართველოს [illegible]ოქალაქობა არ სცნონ და მეორეს [illegible]ბრივ კი საქართველოს შინაურ ცხო[illegible]ერებაში სხვა სახელმწიფოთა ქვეშევ[illegible]ერდომების ხმებით უახლოესი მონაწი[illegible]ლეობა მიიღონ. ჩვენ არ გვაშინებს [illegible]ამ ორი „სოციალისტური“ (sic!) [illegible]პარტიის შეთანხმებული გამოსვლა, [illegible]რ გვაშინებს იმიტომ, რომ საქართ[illegible]ველოს თავისუფლება ამიერიდან [illegible]ქართველი შუამავალი ხალხის ხელშია [illegible] და იგიც შესძლებს სათანადო პასუხი [illegible]ასცეს „რევოლიუციურ“ სამოსელ[illegible]ში გახვეულ მოწინააღმდეგეთ.

[illegible] საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარ[illegible]ტია თავის უახლოეს მიზნად ისახავს [illegible]ჭიდრო კავშირი დამყარო ყველა [illegible]ერის მშრომელთა შორის, რომ [illegible]ათ თანამედროვე საერთაშორისო [illegible]ოძრაობის დროს საერთო ენა და [illegible]გზა გამონახონ იმპერიალიზმისა და [illegible]კაპიტალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ეს კავშირი ჩემოდანოვებისა და დავითხანიანების საქართველოში გაბატონებად ვერ ჩავსთვალოთ.

ბატონებო, დრო არის მიხვდეთ, რომ თქვენს პროვოკაციას საქართველოში არც ერთი ჯგუფი არ აყვება გარდა იმ გაბედბნეულებისა, რომელნიც თქვენ მოტყუილებით მოგყვებიან. თუ თქვენ მართლაც გაინტერესებთ მშრომელი ხალხის მომავალი, ხელი აიღეთ ავანტიურაზე, ხელოვნურად ნუ აღრმავებთ შფოთსა და მტერობას მეზობლებთა შორის და გულწრფელად მოისურვეთ ძმური, შეთანხმებული კავშირის დაფუძნება ჩვენსა და თქვენი ერის მშრომელთა შუა. თუ თქვენ ამას არ იზამთ, იცოდეთ საშინელ პასუხს აგებთ საერთაშორისო დემოკრატიის სამჯავროს წინაშე. მაგრამ განა სულ ერთია, რადგან ამდვრეულ წყალში თევზისჭერა, ეგ ხომ თქვენი ხელობაა.

საქართველოს მოქალაქენო, ამხანაგო მუშებო, უახლოესი და ენერგიული მონაწილეობა მიიღეთ საქალაქო არჩევნებში, რომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ ყველა ჯურის ავანტიურისტებს, რომ თქვენ დიდათ გაინტერესებთ საქართველოს თავისუფლება და ბედნიერება! არც ერთი თქვენი ხმა დღეს თქვენ დედაქალაქს არ უნდა დააკლდეს! დეე, თქვენმა მუშურმა ხმამ სათანადოდ უპასუხოს ჩვენი თავისუფლების მტრებს!

ამხანაგებო მუშებო, მოქალაქენო, ხმა მიეცით საქალაქო არჩევნებში მშრომელთა მედგარ დამცველს საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის სიას.

№ 7

საქალაქო არჩევნების წინ.

მაშვრალ ხალხის მოგარიმკლავები, მუშათა რკინეული მკერდები, ურიცხვ პროლეტარებისჭანდონე აი ძალა და უკვდავება ყველა ქალაქის და რა თქმა უნდა ჩვენი დედა-ქალაქიც—თფილისი ამ ხაიმედო ხალუძველესი

ამხანაგო მუშებო!

№. იგი განამტკიცებს თქვენს ქალაქის არჩევნებში მიეცით თქვენი ხმა მხოლოდ მაშვრალთა ინტერესების დამცველთა, ანგარიშგებას უფლებებს ფიდილისის თვითმართველობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგებული და მის ჭალარა ბეთ საუკუნოებით დარაჯათ უდგია ქართველი ხალხის საუკეთესო, ჯანსაღი ძალა, ძალა შრომის სუფევის, მშრომელი დღე და დამის გამსწორებელი მუშა ხალხი. მუშათა კლასის ძლიერებამ მისცა სასიცოცხლო ტონი თფილისის ჭალარა ქუჩებს, მუშათა მაგარი მკლავები ამოძრავებენ მის უზარმაზარ ძარღვებს ქარხანა-ფაბრიკებს და ბოლოს მუშებივე ეფლებიან თავს თავის საყვარელ დედა-ქალაქს. მაშ ვინ ყველაზე უფრო დაინტერესებულია ქალაქის სიცოცხლით? მისი არსებობით, მისი გამშვენიერებით, გალამაზებით, გაკეთებით. რა თქმა უნდა ისინი ვისაც ეს სჭირია და უმისოდ ვერ იარსებებს! ვინ უფროა ქალაქით უკმაყოფილო დღეს დღეობით? დემოკრატია, იმიტომ რომ ძველი დახავსებული ნიკოლოზის რეჟიმით დაიხრჩვა მისი საუკეთესო იდეალი, შრომის განთავისუფლებისა ძველი რეჟიმის გაგძელებით მას მოელოდა ფიზიკური გარდაშენება, მის ქოხებს არვინ ანათებდა და არც არავინ ასუფთავებ-აწმენდინებდა, მის წინ ტალახით აშმორებულ ქუჩებს, დიდი სასახლეების ბინადარნი ამ უბედურებას მოკლებულნი იყვნენ, ბურჟუებს შეეძლოთ ბრძანება გაეცათ და ყოველივე აღსრულებოდათ, მაგრამ ამას ვერ იზამდა დემოკრატია, რომელსაც არც ბრძანება შეეძლო და არც მოსამსახურენი აწყენდენ თავს, მას მხოლოდ კუჭი როდი აწუხებდა, პაწწინა პროლეტარები რომელიც ნეხვსა და ნაგავში გორაობდენ ლუკმასთან ერთად, ყლაპავდენ ჭუჭყსა და ქვარტლს, რის გამოც მომავალში ხალხსა და ქვეყანას ათასობით ეკარგებოდა მუშების მშრომელი ხელები... ექიმები? მაგრამ პროლეტარებსა და მაშვრალ მუშა ხალხს ვინ მოართმევდა ქალაქის რომელიმე კუნჭულში ეტლებს ექიმებისათვის? აფთიაქები? მთელი რიგი მოიჯარადრეთა ტყავს აძრობდა ამ მკლავების ამარა მიგდებულ ხალხს, განათება? სწავლა განათლების მოწყობა, სამკითხველოები. მაგრამ კმარა, დემოკრატიამ ბევრი დაკარგა რაც დღეით მხოლოდ უნდა ანაზღაურდეს ან დღეს ან და არასოდეს! აი როგორ სდგას საკითხი რომელიც ღღესვე უნდა გადაიჭრას.

და ჩვენი პარტია, როგორც მაშვრალთა პარტია წარსდგება ქალაქის ხმოსანთა ყრილობაზე. მისი პირველი მოთხოვნილება იქნება: დემოკრატიული თფილისი, მისი აყვავება, მისი გაფურჩქვნა, ჩვენი პარტიის წევრები თვითონვე მუშები არიან და როგორც მუშები იგინი გვერდში ამოუდგებიან თავიანთ მუშა ამხანაგებს და მათთან გაიზიარებენ ჭირსა და ლხინს. იგინი მოითხოვენ მუშებისათვის, სათანადო შრომის ქირას ქალაქის დაწესებულებებში, საექიმო უფასო დახმარებას, ბინების განათებას, სამკითხველოებს, წყალსადენს და სხვებს სასარგებლო და სასურველ მუშებისათვის. ჩვენი კანდიდატები მხოლოდ მუშებია! მაშ ამხანაგებო მუშებო! გახსოვდეთ **შვიდი ნომერი**! ეს მუშების სია და მას ჩაუგდეთ თქვენი კენჭი ორ თებერვალს. ამხანაგებო მუშებო, ყველა ხმები მუშა ხმოსნებს.

უბრალო მუშა.

ჩვენი მიზანი.

ჩვენს გამოყოფას მიზნათ აქვს დასახული მშრომელი ხალხის გათანასწორება და მისი კეთილდღეობა; ამიტომ ჩვენი პარტიის მიზანი და გზა არის, რათა უტყუარი საძირკველი ჩაუყაროს წმინდა სოციალისტურ მიდინარეობას ჩვენში; ჩვენ თავგამოდებით ვიბრძოლებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მარჯვნით არ გადაიხაროს მშრომელი კლასის განთავისუფლების სასწორმა.

და თუ ჩვენ დავმარცხდებით, ეს დამარცხება იქნება იმ მემარცხენე იდეების, იმ ძირითადი პრინციპებისა, რომლის გაღრმავებაც საჭიროა ჩვენს პატარა ქვეყანაშიაც.

ამიტომ, ვისთვისაც ძვირფასი და ტკბილია თავისუფლება, რომ რაც შეიძლება მუშათა მშრომელმა კლასმა მალე მოიპოოს შეგნებულად საღავე თავისი ბედის გამოჭედისა ჩვენთან უნდა იყვენ. ჩვენ მუდამ ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ კიდევ, საბამ ეს საჭირო იქნება, რომ მუშებს გაუკაფოს ის მძიმე, ნარ-ეკლიანი გზა რომელზედაც ჩვენ ვოცნებობთ და მივისწრაფით; ჩვენ ველარ ვენდობით იმ ინტელიგენციას მარტო რომელიც ხშირად უფრო კარიერას და პრივილეგიებს ეტრფის.

ჩვენი მთავარი საზრუნავია მუშების და საერთოდ მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესება ფაქტიურად, სოციალისტური მიდრეკილების განმტკიცება, წმინდათ და უტყუარი გზით; ჩვენ უნდა გავაღრმაოთ გასაზოგადოების პრინციპი; შემოვიღოთ მუშათა კანტროლი ჩვენში; ჯერ ჩვენ ხელთ არარის ის საკვებები, რაც სწორუფლებიანობას უზრუნველყოფს ადამიანთა შორის. მუშათა კანტროლი უნდა უდგეს დარაჯად წარმოებას, რომ ცხოვრების ცვალებადობამ იგი არ გადახაროს მუშათა კლასის საწინააღმდეგოდ.

დღეს საჭიროა ჩვენში დიდი გათვითცნობიერება და დაკვირებული ნაბიჯი, ნაბიჯი ისეთი რომ, დღეს დაწყებული საერთაშორისო მოძრაობა ჩვენდა საკეთილდღეოდ დამთავრდეს. დიდ მებრძოლთა ბანაკს ჩვენი ხმაც უნდა ესმოდეს. დღეს გადიჭრება საბოლოოდ. გაიმარჯვებს თუ არა თავგამოდებული პროლეტარიატი, თუ დამარცხდება იგი და გაიმარჯვებს ბურჟუაზია, ჩვენ „მაინც სრულის იმედით უცქერით მომავალს, რომელიც უეჭველათ მშრომელი ხალხის საბედნიეროდ დაგვირგვინდება.

ეს გვაიმედებს, გვახარებს, და ამის იმედით უყივით ამხანაგებს ჩვენი მუშური ბანაკისაკენ, მჭიდრო და უძლეველი შეკავშირებისათვის. ამ კავშირში უნდა ვიპოვოთ ხსნა სრული განთავისუფლებისა, მისი ბრწყინვალე გამარჯვებისა...

ევსევი კეგლიშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები და მოუყვარნი.

საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები, განსაკუთრებით დაშნაკცაკანები და მემარჯვენე რუსთა პოლიტიკური ჯგუფები შეთანხმების ქვეყნებში გაცხარებულ კომპანიას ეწევიან ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. როგორც ვიცით, „დაშნაკცუტიუნის“ პარტიას აქვს თავისი განყოფილებანი ევროპის დიდ პოლიტიკურ ცენტრებში და მისი აგენტები დაუსვენებლივ და ენერგიულად ამუშავებენ საზოგადოებრივ აზრს თავისებურად ისე, რომ საკვებით ამახინჯებენ ამიერ-კავკასიაში მომხდარ ამბებს. ასე, მაგალითად, ისინი საშუალებას არ ზოგავენ, რომ ლონდონისა და პარიზის საზოგადოებრივი აზრი დაარწმუნონ იმაში, რომ თუ ქართველების „ლალატი“ არა, სომხები არამც თუ შეაჩერებდენ გერმანელების მოძრაობას აღმოსავლეთში, არამედ დაამარცხებდენ ოსმალეთს და მთელ მცირე აზიას დაიპყრობდენო. მაგრამ მიუხედავად საქართველოს მტრების იმედისა, რომ ცილი დასწამონ მას, საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა მაინც პოულობს დახმარებას და თანაგრძნობას ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში. ლონდონში დაუარსებიათ ინგლის-საქართველოს საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ არის ლორდი ბრაისი‘ ამ საზოგადოების მოქმედება, თანაგრძნობასა და დახმარებას იწვევს ლონდონის პოლიტიკურ წრეებში.

პარიზში შეუქმნიათ „**საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი**“ საფრანგეთის სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. კომიტეტს მხურვალე დახმარებას უწევს ცნობილი ფრანგი სოციალისტი **ალბერტ ტომა**, ყოფილი სასურსათო მინისტრი.

გარდა ამისა ლონდონში დაარსდა სპეციალური საინფორმაციო ბიურო, რომელიც ინგლისისა და ამერიკის პრესას უტყუარ ცნობებს აწვდის კავკასიის ამბებისა და ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ.

(„ბორბა“).

სამართლიანი გზა.

ჩვენ უკვე გამოვეყავით სოც.-ფედერალისტთა პარტიას, და დავაარსეთ, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია, და ეხლა ჩვენ მოგვიხდება გარკვეული გზით სიარული. ჩვენ უნდა გავიდეთ მშრომელ მასასთან, სოფლის და ქალაქის მუშებთან და ავუხსნათ, განუმარტოთ ჩვენი, მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის მიერ დასახული მიზნები და პროგრამა. ჩვენ უნდა განუყრელად ერთად უნდა ვმუშაობდეთ სოფლისა და ქალაქის მუშებთან, ჩვენ უნდა მათთან ჭირში და ლხინში ერთად ვიყოთ. ჩვენ უნდა მივცეთ გარკვეული გზა ჩვენს იდეებს, ჩვენ უნდა შევიტანოთ მშრომელთა მასაში ჩვენი წმინდათა წმინდა, და ეს გადასროლილი ხმა მშრომელ მასაში გამოიღებს დიად ნაყოფს მშრომელი მასსა, რომელიც ამ ახალ ხმას მიიღებს, ჰპოებს ჩვენში თავის ნამდვილს მომხრეს და მოსარჩლეს, და ეს ნაკადი მოუტანს ბედნიერებას, მისცემს მას მიწას, გააძლიერებს, შეაკავშირებს ქალაქის და სოფლის მუშას, და ასეთ შეკავშირებას ვერავითარი ძალა ვერ ველარ აღუდგება წინ, და ვერ მოდრეკს მათ რკინის რაზმებს. და აი, ჩვენ უნდა გამოვიდეთ სამუშაოთ იმ იმედით, რომ ჩვენი გამოსვლა მშრომელ მასაში ჰპოებს ნაყოფს, დაიმსახურებს სიმპატიას და არც მოსტყუვდება მაშვრალთა რაზმი, როგორი პროვოკაციას და დემაგოგიას არ ექნეს ჩვენ წინააღმდეგ ადგილი ის მხოლოდ იმ გზას ამოირჩევს, რომელ გზასაც ერქმევა სამართლიანი გზა, და რომელი გზაც მას აუხსნის თვალებს, შეუმსუბუქებს ტანჯვას, მისცემს მას ნამდვილ თვითისუფლებას. და სწორედ

ამხანაგებო!

მიემზადე არჩევნებისათვის. თქვენი ხმა მხოლოდ

მე-7 №

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გზაც აქვს დასახული ჩვენს ნორჩ პარტიას, და მას გაყვება ნამდვილი იდეური, შეგნებული ნაწილი სოფლის და ქალაქის მუშებისა. მაშ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი გზა, რომელიც ამოვირჩიეთ 13-ს იანვარს, არის გზა სიმართლისა და იგი მხოლოდ მიგვიყვანს ალთქმის ქვეყანამდი, სოციალიზმამდის! აქ კი სამუდამოდ განმტკიცდება მთელ დედამიწის ზურგზე პიროვნებისა და შრომის სრული ბედნიერება. ამხანაგებო, გავსდიოთ პირნათლად ამ ჩვენ დასახულ სამართლიან გზას, გავიდეთ მშრომელ მუშებთან, გავაცნოთ ჩვენი ახლად დაარსებული ნორჩი პარტია, და თავგანწირულად ვიმუშაოთ, რათა ცხოვრებაში გავატაროთ აუცილებელი რეფორმები. დაუნდობელი ბრძოლა მათ, ვინც შეცდება ბინძური ხელებით შეეხოს ჩვენს უმანკო და წმინდა დროშას, და სალამი მათ, ვინც გამოგვიწოდებს უმანკო და წმინდა ხელს, და გვერდში ამოუდგება ჩვენს სამართლიან გზას.

მაშვრალი მუშა,

გასტონო რედაქტორო! *)

გთხოვთ დაგვიბეჭდოთ ეს ოქმის ამოწერილობა და მით საშუალება მოგვცეთ ფართო საზოგადოებას ვამცოთ შემდეგი: **)

1919 წ, იანვარს 19 ღამეს შესდგა კრება საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის ქუთ. მუშათა კავშირის გამგეობისა, რომლის შემადგენლობის 9 წევრიდგან დაესწრო 7 და ორიც კანდიდატი. ამხ. მოთხოვნით კრება გახსნა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგმა გ. ჯანდიერმა. მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ბოკერია.

ეს სხდომა ალიარებულ იქნა გაგრძელებად 17 იანვრის სხდომისა, სადაც მოსმენილ იქნა მოხსენება კავშირის მიერ ფედერალურ საბჭოზე გაგზავნილ დელეგატის გ. ჯანდიერისა და აგრეთვე საპასუხო და საწინააღმდეგო სიტყვები ამავე კავშირის თავმჯდომარის გრ. ლაღიძისა და არ. ფანჩულიძისა ფედ. საბჭოში მომხდარ ინციდენტის და გადადგმულ ნაბიჯების შესახებ.

რადგანაც ეს კრება 17 იანვარს შესწყდა, იმ დროს, როდესაც მოხსენებულს, ჯანდიერს, ეკუთნოდა უკანასკნელი სიტყვა და შემდეგ კი უნდა გამოტანილიყო დადგენილებანი, ამიტომ პირველათ კრება ისმენს ჯანდიერის უკანასკნელ სიტყვას და შემდეგ აზრთა მცირე გაცვლა-გამოცვლისა, გამოაქვს შემდეგი თავის დადგენილებანი:

1) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ქუთაისის მუშათა კავშირის გამგეობა გამოსთქვამს რა გულის ტკივილს ფედერალურ საბჭოზე მომხდარ კონფლიქტის და პარტიის გაყოფვის შესახებ, მაინც იწონებს კავშირის დელეგატების ამხ. გ. ჯანდიერის და ს. გერსამიას, სხვა ჩვენთანაერე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, ბრძოლას მუშების უფლებათა დასაცავად და ადასტურებს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, როგორც გამოუვალ საშვალებას და ამიტომ უცხადებს მათ სრულ ნდობას.

2) მხოლოდ, რაც შეეხება საქციელს გრ. ლაღიძისას, როგორც კავშირის თავმჯდომარისას, რომელიც ამ ბოლო ხანებში იყო ამ თანამდებობაზე ვითომც როგორც „ყველაზე მედგარი დამცველი მუშათა ინტერესებისა და უფლება-მოთხოვნილებებისა, მაგრამ რომელმაც ბირადი თავმოყვარეობით და განდიდების სურვილით უდროო დროს მიატოვა მუშათა წარმომადგენლობის ჯგუფი ფედერალურ საბჭოისა და შეუერთდა მოწინააღმდეგეთა ბანაკს, რითაც მან შეასუსტა მუშათა წარმომადგენლების რიცხვი, ხელი შეუწყო მუშათა სამართლიან მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობას ფედერალ. საბჭოს მიერ და აქედგან წარმომდგარ პარტ. გაყოფას—კრება აყენებს მას გამგეობის და მის კავშირის თავმჯდომარის თანამდებობიხაგან და უცხადებს მას მუშების მიერ გულისწყრომას.

3) მის მაგიერ კი კავშირის თავმჯდომარედ კრება ერთხმად ირჩევს ამხ. გიორგი ჯანდიერს,, მხოლოდ მის ამხანაგად დომენტი დოლიძეს.

4) შესახებ ფედერალურ საბჭოს საქციელისა, რომელმაც არ დააკმაყოფილა მუშების მცირე და სამართლიანი მოთხოვნილება რამაც გამოიწვია პარტიაში განხეთქილება, რაც, არავისთვის სასურველია არ იყო, მეტადრე ასეთ დროს, კრება ადგენს გამოეცხადოს მას ცხარე პროტესტი,

5) ვინაიდგან მემარცხენეთა ჯგუფი მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა ფედერ. საბჭოში მედგრად იცავდა მუშათა ინტერესებს და მოთხოვნილებებს, რისთვისაც ეს ჯგუფი იძულებული შეიქნა ბოლოს ცალკე პარტიაც დაეარსებინა რომლის საშუალებით შემდეგში მუშებს შეეძლებათ თავიანთი ინტერესებისათვის აწარმოონ მედგარი და დამოუკიდებელი მეფეური ბრძოლა ბრწყინვალე მომავლისათვის, კრება ერთხმად ადგენს: ვესალმებით ახლად დაარსებულ „საქართველოს მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიას. ყველა აქ დამწრენი ვეწერებით ამ პარტიაში და ჩვენ ამხანაგ მუშებსაც აქეთ მოუწოდებთ, ამ პარტიის დამაარსებელ დამფუძნებელ კრებას ვუთვლით მადლობას და ბოლოს ამ ნიადაგზე დასაჯილ პირთ ამხ. ალ. წერეთელს და სხვებს ვუცხადებთ თანაგრძნობას ვუსურვებთ მხნეობას. თავმჯდომარე გ. ჯანდიერი.

მდივანი ბ. ბოკერია.

P. S. შემდეგ ამისა შესდგა პირველი სარეგისტრაციო ფურცელი ახალი პარტიისა, სადაც უყოყმანოთ ჩაეწერენ ოცამდე აქ დამსწრე ამხანაგი მუშები, წარმომადგენლები სხვა და სხვა პროფესიებისა. გაიხსნა ახალი კრება, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად დასახელებულ იქნა ამხ. იაკობ ფანცხავა. დამსწრეთ ეს კრება გამოაცხადეს ამ ახალი პარტიის ქუთაისის გუბერნიაში დამფუძნებელ კრებად, რისთვისაც აშორჩეულ იქნა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი 7 კაცისაგან.

ამხანაგებო, ხმა მიეცით მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიის სიას.

№ 7

ჩვენი კანდიდატები თბილისის საქალაქო არჩევნებში.

1. წარეთელი ალექსანდრე ოსეფის ძე—პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.
2. სულთანიშვილი გიორგი ივანეს ძე—ტრამვაის მუშა.
3. ლეონავა ნიკოლოზ რომანის ძე—ინჟენერი.
4. ჩომახიძე ერასტი გაბრიელის ძე—რკინის გზის მუშა.
5. აბრამიშვილი მიხეილ ვლადიმერის ძე—მასწავლებელი, ლიტერატორი.
6. კევლიშვილი ვასილი გიორგის ძე—ტრამვაის მუშა.
7. კვერეხაძე ერმალოზ ივანეს ძე—ტრამვაის მუშა,
8. უსტიაშვილი ნიკოლოზ იაკობის ძე—რკინის გზის მუშა.
9. სტურუა ანტიოხ ივანეს ძე—საზოგადო მოღვაწე.
10. ჩიქოვანი თეოფანე საბას ძე—პროვიზორი.
11. ტუსკია აკაკი მელენტის ძე—მხედარი.
12. ჩიკვაიძე გრიგოლ მეთოდეს ძე—მუშათა და ჯარის კაც. სან. წევრი.
13. ოსელიანი ალექსანდრე იასონის ძე—რკინის გზის მუშათა პროფესიონალური კავშირის სექციის წევრი.
14. ბარათაშვილი კარპეზ ფარნაოზის ძე—ფარმაცევტი.
15. იაშვილი დავით ქაიხოსროს ძე—პარტიული მუშა.
16. ბერაძე დიმიტრი გიორგის ძე—ტრამვაის მუშა.
17. ქავთარაძე შუშანიკა ფარნაოზის ასული—მასწავლებელი.
18. დვალი მარო ალექსის ასული.
19. ელიავა მიხეილ ელიზბარის ძე—რკინის გზის მოხელე.
20. კაკოიშვილი გრიგოლ სვიმონის ძე—მუშა.

ბრევოლიუცია გერმანიაში.

პოლონელთა და გერმანელებს შეტაკება გრძელდება.

—

გერმანიის ეროვნული ყრილობა 6 თებერვალს შეიკრიბება ვეიმარში.

—

მუშათა გაფიცვები გერმანიაში ძლიერდება; მაგალითად შლეზვიგში 20 იანვარს 20000 მუშა იყო გაფიცული.

—

გერმანიის ეროვნული ყრილობის შემადგენლობა ჯერ-ჯერობით დაახლოებით ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: 352 გამორკვეულ მანდატებში 159 სოც. დემოკ. უფლებამოსილ ერთ, 22—ეროვნულ სახალხო პარტიას, 22—დამოუკიდებელ სოციალდემოკრატებს, 20-გერმანიის სახალხო პარტიას, ვ. ბავარიის ელეხთა კავშირს და 4 მცირე ჯგუფებს.

—

საფრანგეთის მთავრობა წინააღმდეგია რომ გერმანული ავსტრია გერმანიას შეუერთდეს, პიშონმა პარლამენტში განაცხადა: „გამარჯვება ანიჭებს გამარჯვებულთ უფლებებს დამარცხებულებზეო“,

აკაა, ჩვენც ვეღირსენ!

თურმე 13 იანვარი ჩემი და ჩემი თანამოაზრე ი. შანავას დღესასწაული გამხდარა და ჩვენ კი ძველებულათ 20 იანვრამდი განვაგრძობდით ტირილს, ეტიროდით არა ბებია და ბაბუას, არამედ ეტიროდით იმას, რომ ჩვენც ვირიცხებოდით თბილ კაბინეტის მოსოციალისტო ფედერალისტთა სიაში, მაგრამ ახლა მაინც გვეღირსებათ ახალი ჯგუფის წევრობა, რაც უნდა მომხდარიყო ადრე.

მაშ, ვუძღვნი წრფელი გულით სალამს ჩვენს ნორჩს საქ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის ჯგუფს.

დინჯი.

ს. წალენჯიხი, იანვრის 20.

პარლამენტის ქრონიკა.

პარასკევს, იანვრის 24, ჩვენმა პარლამენტმა სხვა კანონ-პროექტთა შორის განიხილა კანონ-პროექტი სა-

---

*) ვბეჭდავთ უცვლელად თახასმად ავტორების თხოვნისა და მით ვაძლევთ საშუალებას გამოაქვეყნონ თავისი დადგენილება.

რედ.

**) ეს წერილი გადმობეჭდილია ქუთაურ გაზ. „სოციალ-დემოკრატიდან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალო სასწავლებელთა მასწავლებლების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობისა. პროექტში მასწავლებლები ორ კატეგორიად არიან დაყოფილნი: ცენზიანი და უცენზო და ამისდა მიხედვით ჯამაგირებიც განსხვავდება. ჩვენმა წარმომადგენელმა ამხ. ალ. წერეთელმა მოითხოვა, მასწავლებელთა ამ მხრივ გათანასწორება, რადგან შრომის პრინციპის მიხედვით უნდა ფასდებოდეს მასწავლებელის სამსახური და არა ცენზის მიხედვით.

სხვა და სხვა ამბები.

ახალი კაბინეტი იტალიაში.

იტალიის ახლად დაარსებულ კაბინეტის შემადგენლობა ამტკიცებს, რომ იტალია სამხრეთ სლავების მოთხოვნილებას არ მიიღებს. მინისტრთავმჯდომარედ რჩება როლანდო, ხოლო გარეშე საქმეთა მინისტრად სონინო.

არჩევნები ინგლისის პარლამენტში.

ახალი არჩევნების შემდეგ პარლამენტი შესდგება 707 დეპუტატისაგან, ამათგანი კოალიციის მომხრეა 333 უნიონისტი, 127 ლიბერალი, 10 მუშათა პარტიისა და გარეშე კოალიცისა 46 პარტიული, 37 ლიბერალი, 65 მუშათა პარტიის, 2 ეროვნულ პარტიის, 1 სოციალისტი, 5 უპარტიო, 7 ირლანდიელი ნაციონალისტი და 73 სინფეინერი (ირლანდიის დამოუკიდებლობის მომხრენი).

დათხოვის წინ პარლამენტში იყო 282 უნიონისტი, 260 ლიბერალი, 38 მუშათა პარტიის, 5 ეროვნული პარტიის, 1 უპარტიო, 78 ირლანდიელი ნაციონალისტი და 6 სინფეინერები.

მაშასადამე ახალ არჩევნებში უმეტესად უნიონისტებს, ისე იგი ინგლისის მთლიანობის დამცველთ გაუმარჯვნიათ, ირლანდიაში კი სინფეინერებს.

ნეიტრალური ქვეყნების სამშვიდობო კავშირის დეკლარაცია.

ნეიტრალურ ქვეყნების სამშვიდობო კავშირმა შემდეგი დეკლარაცია გამოსცა: მთელი ქვეყანა ხედავს, რომ ბოლო მოეღო დიდ ომს. ყველა ელის ეხლა, რომ მომავალი ზავი მტკიცე ნიადაგზე [დაეფუძ]ნება. პატარა ნეიტრალური ქვეყნები თავის იმედს მომავალში ხალხთა ლიგაზე (კავშირზე) ამყარებენ, რომლის შექმნის აუცილებლობა ყველა მეომარ სახელმწიფოს მთავრობათა მიერაა აღიარებული. ჩვენ ვგრძნობთ აუცილებლობას, რომ ყოველნაირივ ვიმუშაოთ შეძლებისდაგვარად, რომ ეს სამშვიდობო პროგრამა ცხოვრებაში გავატაროთ. ჩვენ მხარს უჭერთ იმ მისწრაფებას, რომელიც გვიალებს იმ მიზანის — ყველა საერთაშორისო ვუთანხმოებას მშვიდობიანი და სამართლიანი გზით გადაწყვეტისა და საყოველთაო შეიარაღების მოსპობისას. ჩვენ შეურყეველი რწმენა გვაქვს, რომ ხალხთა კავშირი ყველა ერს მისცემს საშუალებას თვით გამორკვევისას და ყველა სახელმწიფოს ერთგვარ უფლებებს ეკონომიური განვითარებისას.

ახალი ამბავი

სტუდენტ ქალთა კრება. სამშაბათს 28 იანვარს საღამოს 5 ნახ. საათზე დანიშნულია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ქალთა ინტერპარტიული წრეების საერთო კრება. წევრებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ, რადგან გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები.

ნავთსადენის მოქმედების გაძლიერება. ინგლისის მისსიის მიერ სპეციალურად შედგენილი ტეხნიკური კომისია ათვალიერებს ბათომ-ბაქოს შუა ნავთსადენს. კომისია იკვლევს აგრეთვე ნავთსადენის მოსამსახურეთა მდგომარეობას. კომისიის მიზანია, რაც შეიძლება ახლო მომავალში გააძლიეროს ნავთსადენის მოქმედება.

ტყიბულის მაღაროების შესახებ. ამ დღეებში სამთო სამადნო საზოგადოება აგზავნის კომისიას ყოველ მხრივ გადასათვალიერებლათ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებისა; როგორც ვიცით ურიგო მუშაობის მიზეზებით მაღაროები იმყოფება საფრთხილო მდგომარეობაში.

მიხაბაძის მადლობა

ამხ. იონა პავლესძე თევზაძემ გამოუწერა სამი თვით გაზ. „ახალი ნაკადი" სამტრედიის ქარ. წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების უფასო სამკითხველოს. საპატიო მადლობას ვუძღვნით ხვდებაც წამაძე, მუშათა ორგანოზე.

მუშათა შორის

კოლექტიური ხელშეკრულება

რკინისგზის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის მთავარმა კომიტეტმა შრომის სამინისტროს სთხოვა, დაანგარიშოს მუშათა რკინის გზის ადმინისტრაციასთან კოლექტიურ ხელშეკრულების დადებისა.

რკინის გზის მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა.

რკინისგზის მოსამსახურეთა პროფესიონულმა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა მოსამსახურეებს სიძვირის გამო ჯამაგირები მოემატოს.

მთავრობამ 21 იანვარს დაამტკიცა შრომის მინისტრის მოხსენება, რომლითაც მოსამსახურეები ჯამაგირი 100% უნდა გადიდდეს.

მისალმება ბაქოს მუშებს

ლითონის მომუშავეებმა თანაგრძნობა და მისალმება გაუგზავნეს ბაქოს მუშებს უკანასკნელ გაფიცვებში „გამარჯვების გამო.

ჩვენი მომავალი.

დღეს, როდესაც ფაქტიურად დაარსდა მემარცხენე ჯგუფი საქ. სოც.-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიისა, ჩვენ მრავალ მხრივ გვესმის ზოგიერთების ყოვლად უსაფუძვლო მსჯელობა. ბევრს გულუბრყვილოთ გონიათ, რომ მოხდა რაღაც არა ჩვეულებრივი, ვითომც და მოხდა ისეთი რამ, რომელიც არ უნდა მომხდარიყო. ასეთი ცალმხრივი მსჯელობა ყოვლად მიუტევებელი და დასაგმობია. ცალმხრივობა არ იქნება ითქვას, რომ ასეთი დასკვნა ამ მეტის მეტად რთულ საკითხზე მხოლოდ გაუგებრობაა, ან განზრახ დამახინჯებაა ფაქტისა სხვა არავითარი დადებითი მხარე ამ მოსაზრებას არა აქვს. ამიტომაც მე გულწრფელად ვურჩევდი ყველა იმათ, ვინც ფიქრობს ჩვენ წინააღმდეგ პრინციპულ გამოლაშქრებას და ჩვენი პარტიის არსებობის უსაფუძვლოების დამტკიცებას, უნდა მოიყვანოს ნათელი ფაქტები და უნდა დაემყაროს ერთგვარ ლოღიკურ დებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში დემაგოგიით და ცილის წამებით აშენებული წერილები, როგორც ეს „სახალხოელებს" მოსდის, ჩვენ სრულებით არც გვარცხვენს და არც გვაშინებს. ჩვენ მიუხედავათ ყველა იმისა მაინც გაბედულად და ამაყად განვაგრძობთ იმ წმინდა გზით სვლას, რომელსაც შეუჩერებლივ მივყავართ სოციალიზმისაკენ. ჩვენი წმინდა მიზანი რომელიც განხორციელებულ უნდა იქნეს, ეს უპირველეს ყოვლისა იქნება უაღრესად სოციალისტური მეთოდების შემოღება რევოლიუციონურ საქართველოში, რომელიც ჩაწნულ-ჩაქსოვილია ჩვენ მთავარ პრინციპებში. ჩვენი სამოქმედო გეზი იქნება მშრომელ კლასის და სოციალისტური ინტელიგენციის შეკავშირება და შედუღება და ამ ორ ჯგუფთა სინთეზის საშუალებით შექმნა ძლიერი სოციალისტური ფრონტისა. აი ამას მოითხოვს, როგორც ჩვენი ძირითადი პრინციპები ისე ამ ორ ჯგუფთა სასიცოცხლო და საარსებო ინტერესები...

ბევრჯერ გვითქვამს და კიდევ ვიმეორებთ, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ მოხდება მუშათა იდეალის ცხოვრებაში გატარება, როდესაც თვით მუშები აიღებენ ხელში თავისუფალ საქართველოს ცხოვრების მშენებლობას. მხოლოდ მუშების შეუპოვარი მოქმედების ზეგავლენით შეიძლება შეიქმნას ისეთი წესწყობილება, რომელიც გამომხატველი იქნება მშრომელ კლასის სამართლიან სურვილების და ნებისყოფისა. ამიტომაც ყოველმა მუშამ, ვისაც შესწევს ძალა და უნარი თავის ინტერესის დაცვისა, მთელი თავისი არსებით მხარი უნდა უჭიროს იმ მაშვრალთა პარტიას, რომლის უახლოესი მიზანია მშრომელ ხალხის საბოლოოთ განთავისუფლება ყოველგვარ მონობისაგან.

უეჭველია, ამ საკითხს არა ერთხელ დაუბრუნდებით და მომავალში უფრო ვრცლად ვეცდებით დავასაბუთოთ ჩვენი პარტიის ზნეობრივი სიმძლავრე და მისი იმედიანი პერსპექტივები.

[illegible]

პროვინციის ამბები.

სოფ. ზემო-გომი.

გომში ამ ჟამად ხალხი მოწადინებულია უახლოესი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო ცხოვრებაში.

აღსანიშნავია შემდეგი გარემოება, ხსენებულ სოფლის რაიონის კომისარი ამ ხანებში ჩამოყენებულ იქმნა იმ უაღრეს თავხედობისათვის, რომელიც მან მთავრობის სახელით ჩაიდინა: მექრთამეობა, ხალხის უკანონოთ ცემა და სხვა; აი მისი მოქმედების ნიმუში. მას ხალხმა დაუმტკიცა ათასნაირი ქრთამების აღება და ის ყველა ამ უკანონო მოქმედების გამო დატყვევებულ იქმნა საზოგადოების მიერ, საჭიროა ჩვენმა მთავრობამ ზედმეტი ყურადღებით მოხედოს ასეთ უპასუხისმგებლო ვაჟბატონებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხში კვლავ თავს იჩენს ის ანარქია და არევ-დარევა, რომლის მოწმეც ვიყავით.

შალიკო.

სამეგრელო.

შეიძლება სამეგრელოს გლეხობას შეუგნებელი უწოდოთ ერთი მხრით, მაგრამ ამავე დროს ის მკვირცხლი და მებრძოლიც არის. სამეგრელოს გლეხობის განუვითარებლობა ერთ რამით აიხსნება, ამის უმთავრესი მიზეზი გახლავთ კულტურულ დაწესებულების სიმცირე და მოუწესრიგებლობა. აქ სამკითხველოები თითქმის იშვიათია, ფოსტის მიმოსვლა ძალზე მოუწყობელია, მით უმეტეს ამ რევოლიუციის შემდეგ. თქვენ წარმოიდგინეთ ასეთ დიდ მნიშვნელოვან ცენტრში როგორიც არის ქ. ზუგდიდი სამეგრელოსათვის, აი აქაც არ არსებობს ფოსტის სისტემატიური მიმოსვლა და ამ შემთხვევაში რასაკვირველია სხვა უბრალო სოფლებზე ლაპარაკიც ზედმეტია. აი ეს უმთავრესი ღერძი კულტურულ აღორძინებისა ძალზე მოუწყობელია. ამიტომაც საჭიროა და აუცილებელიც ამ მნიშვნელოვან საქმის რიგიანად მოწყობა, სანამ გვიან არ არის. ვინაიდგან ჩვენ მხოლოდ ამ კულტურულ დაწესებულების საშვალებით შევიძლია მივაღწიოთ იმ ჩვენს წმინდა იდეალს, რომელიც გულისხმობს მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებას. საჭიროდ ვცნობ აღვნიშნო რომ, ყველა ზემოდ ხსენებულ საქმის მოწესრიგებაში მთავრობა დღესდღეობით დიდს პასივობას იჩენს და თითქმის უყურადღებოდ სტოვებს, ისედაც გონებრივ საფეხურზე დაბლა მდგომ სამეგრელოს. რაიცა დიდი დანაშაულობაა დემოკრატიულ მთავრობისათვის. საჭიროა და დროც არის, ჩვენმა მთავრობამ მეტი ყურადღება მოაქციოს და აქ საძირკველი ჩაუყაროს ყოველ-გვარ კულტურულ დაწესებულებებს.

ტ. წ—ელი.

რედაქტორ-გამომცემელ
სარედაქციო კოლეგია.

სტამბა „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის", გოლოვინის ქუჩ. ტელ. 4—73.